საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 256-02
12/03/2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების თარიღის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების მე-3 და მე-4 მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნები ერთ ვაკანტურ ადგილზე.
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 15 მარტიდან 19 მარტის 18:00 საათის ჩათვლით უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნის გზით info@iliauni.edu.ge .
3. უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წევრობის კანდიდატი უნდა იყოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.
4. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და დოკუმენტს:
   ა)კანდიდატის სახელი და გვარი, მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით;
   ბ) ფაკულტეტის სახელწოდება;
   გ) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტიდან წევრობის კანდიდატის ერთ ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული არჩევნები ჩატარდეს 2021 წლის 25 მარტს 11:00 საათიდან 16:00 საათამდე (მის:ი.ჭავჭავაძის გამზ. 32, A 101 აუდიტორია). არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრს.
7. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის გაცნობა.
9. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს 2021 წლის 19 მარტის ჩათვლით მიაწოდოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სია- სახელის, გვარისა პირადი ნომრის მითითებით.
10. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დაევალოს მიაწოდოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ინფორმაცია დარეგისტრირებული კანდიდატების შესახებ არაუგვიანეს 2021 წლის 19 მარტისა.
11. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი